გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №130

2022 წლის 8 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან (ს/კ 66.45.24.025) 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის24 აპრილს შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ჭავჭავაძის ქუჩა N44მიმდებარედ ს/კ 66.45.24.025 მიწის ნაკვეთიდან, საერთო ფართობის 1187.00 კვ.მ.–დან 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2022 წლის 14ივნისის N192-ქქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით (მისამართი: ქალაქი გორი, ჭავჭავაძის ქუჩა), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.24.025 - დან (დაზუსტებული ფართობით - 1,187.00 კვ.მ) 50.00 კვ.მ - ის საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 15,400.00 (თხუთმეტიათას ოთხასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.24.025 საერთო ფართობის 1187 კვ.მ–დან 50 კვ.მ. ფართის, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით

გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ"საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის,61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (გორში, ჭავჭავაძის ქუჩა N44 - ის მიმდებარედ) მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.24.025 საერთო ფართობის1187 კვ.მ.–დან 50 კვ.მ. გაცემული იქნეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, 3 (სამი) თვის ვადით, ღია კაფის მოწყობის მიზნით, მხოლოდ მაგიდებისა და ქოლგების განსათავსებლად, ისე რომ არ მოხდეს საფეხმავლო სივრცის შეზღუდვა.
2. მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.24.025 საერთო ფართობის 1187 კვ.მ.–დან 50 კვ.მ-ის საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 15,400.00 (თხუთმეტიათას ოთხასი) ლარით.

3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემულ იქნეს ღია კაფის მოწყობის მიზნით (მხოლოდ მაგიდებისა და ქოლგების განსათავსებლად, ისე რომ არ მოხდეს საფეხმავლო სივრცის შეზღუდვა)მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, თავისი ხარჯებით, მოახდინოს მუნიციპალური ქონების გამოთავისუფლება და ჩაბარება პირვანდელ მდგომარეობაში.

5.გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ერთი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).

6.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვის ვადით.

7. მოიჯარემ უზრუნველყოსქონებისმოვლა - პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენურინორმებისდაცვა), ასევეუზრუნველყოსკომუნალურიგადასახადებისგადახდა.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

9. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე